

ციტოკინური პროფილის ცვლილება მაკროფაგთა პოლარიზაციის დროს
მარიამ გინტური

სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრის (ბიოფარმაციაში) აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (ბიოფარმაცია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი შანშიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ გინტური

27.06.2021

აბსტრაქტი

ფლავინოიდები პოლიფენოლური ნაერთებია, რომელთა 6000-ზე მეტი სტრუქტურა გვხვდება სახვადასხვა მცენარეში. ფლავინოიდებით მდიდარი საკვები დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობის ფართო წრეებში, რაც გამოწვეულია მათი სასარგებლო თვისებებით. კატეჟინი და კვერციტინი წარმოადგენენ ფლავინოიდებს, რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ ანტიკანცეროგენული, გულ-სისხლძარღვთა პროფილაქტიკური, ნეიროპროტექტორული და კუჭ-ნაწლავის ციტოპროტექტორული მოქმედება. ზოგიერთი მათგანი თრგუნავს დნმ-ის მეთილირებას და აფერხებს უჯრედის შეუქცევად გამრავლებას, ასევე აფერხებს სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის- α -ს და ანთების წარმომქმნელი ფაქტორის ინიცირებას მიკროფაგებში.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა მაკროფაგთა პოლარიზაციის პროცესში ციტოკინური პროფილის ცვლილების შესწავლა. კვლევის მსვლელობისას Raw 264.7 მაკროფაგული კულტურა იქნა გამოყენებული, ჩატარდა მათი პოლარიზაცია და შესწავლილ იქნა ფენოტიპური ცვლილების დროს გამოვლენილი ციტოკინური პროფილის თავისებურებანი.

კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ მაკროფაგთა პოლარიზაციას თან ახლავს ციტოკინური პროფილის ცვლილება. კერძოდ, M1 ფენოტიპისათვის დამახასიათებელი იყო ანთებითი ციტოკინების ექსპრესიის გაზრდა, ხოლო M2 -ის შემტხვევაში ანთების საწინაარმდეგო ციტოკინების მატება შეინიშნებოდა.

ჩატარებული ექსპერიმენტების თანახმად ვაჩვენეთ, რომ მაკროფაგთა პოლარიზაციის შედეგად ადგილი აქვს ციტოკინური პროფილის ცვლილებას.

საკვანძო სიტყვები: მაკროფაგები, ციტოკინები, ანთება, მაღალი მობილობის ცილები,